საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ... ხუთშაბათი, 21 აგვისტო 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 186

ერთობა

ფასი 1 მან.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. [illegible] განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ მიიღება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ელიჩქა მაქსიმენის ასული, შვილები: ქიკიკო და ქეთო, მშობლები: მატრონე და დიანოსე, ძმა ივანე, რძალი თეო, დები: ოლღა კაჭახიძისა და ირინე სანაძისა, სიძეები: ილარიონ კაჭახიძე დ ალექსანდრე სანაძე, ძმის შვილი სონია, ცოლის ძმა გედევან ბერიძე მეუღლე ოლღათი აუწყებენ ნათესავთ და ნაც ობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნოე დიანოსის ძე ლექავას

სულის მოსახსენებლად დანიშნულია 22 აგვისტოს (ახ. სტ.) ს. დიდ ჯიხაიშში.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე: ფოტინე, შვილები: ივდითი და ალექსანდრე, დედა ბარბარე, ძმები: ბესარიონ, დავით და ნესტორ, ძმისწული გიორგი დუნდუები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ვლადიმერ გლახუას ძე დუნდუას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 აგვის. ს. საჭილაოში. დღის 3 საათზე გამოსვენება საკუთარ სახლიდან პარასკევს, 22 აგვისტოს, დღის 2 საათზე, დაკრძალვა წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

ჰასკელის ჩამოსვლის გამო

ამ რამოდენიმე დღის წინად თფილისში ჩამოვიდა ამერიკის სამსახურში მყოფი პოლკოვნიკი ჰასკელი, რომლის შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო კონსტანტინოპოლის და აგრეთვე ადგილობრივ პრესაში.

გამოირკვა, რომ განსაზღვრული მიმართულების პრესის ცნობები პოლკ. ჰასკელის მისიის შესახებ არ იყო მთლიანად. სწორე აღმოჩნდა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისართან, რომელიც არის დანიშნული ამიერ-კავკასიისა და სომხეთისათვის.

ამგვარად, პოლკ. ჰასკელი არის საზავო კონფერენციის უმაღლესი წარმომადგენელი ამიერ კავკასიაში.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ როგორი იქნება ანტანტის გადაწყვეტილება შესახებ მოკავშირე ჯარების ევაკუაციისა ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან, მაგრამ როგორადაც არ უნდა გადასწყდეს ეს კითხვა, პოლკ. ჰასკელის ჩამოსვლა ჩვენში, როგორც სრულუფლებიანი კომისრისა, რომელიც არის დანიშნული ამიერ-კავკასიისა და სომხეთისათვის, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ კითხვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ მოკავშირეთათვის არის კითხვა საერთაშორისო, რომელიც საბოლოოდ საზავო კონფერენციაზე უნდა გადაიჭრას. და სანამ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების და ოსმალეთის სომხეთის საკითხი არ გადაჭრილა საზავო კონფერენციაზე, მანამდე ამიერ-კავკასია და სომხეთი იმყოფებიან ამ კონფერენციის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, რაც მოწმობს იმას, რომ ანტანტის სახელმწიფოებს აქვთ განზრახვა, რომ აღნიშნულ მომენტამდე ჩვენში სტატუს ქვო არ შეიცვალოს.

გაითვალისწინებენ რა ამას, ამიერ კავკასიის ხალხები, და კერძოდ საქართველოს ხალხი, კმაყოფილებით შეხვდებიან საზავო კონფერენციის მიერ ამიერ-კავკასიისა და სომხეთისათვის უმაღლესი მოკავშირე კომისრის დანიშვნას.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ პოლკ. ჰასკელი ყურადღებით მოისმენს ჩვენი ხალხების საჭიროებებს და მათ სამართლიან მოთხოვნილებებს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერ-კავკასიის ერების მისწრაფებათა გაცნობა და შესწავლა ადგილობრივ პირობებისა საზავო კონფერენციის წარმომადგენელს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცნობა და დაცვა ჩვენი რესპუბლიკების თავისუფლების და დამოუკიდებლობისა შექმნის მკვიდრს საფუძველს წესიერებისა და მშვიდობიანობისათვის, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე მის ირგვლივ.

დაშნაკცუტიუნი და ინტერნაციონალიზმი

ამ დღეებში თფილისში დასრულებული დაშნაკცუტიუნის ყრილობის ანგარიშების გადათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საკითხმა, რომელიც შეეხება პარტიული ორგანიზაციის მოწყობას „ეროვნულად თუ ინტერნაციონალურად".

30 წელია დაშნაკცუტიუნის პარტია ნაციონალური ორგანიზაციის პრინციპზეა აშენებული და თვით პარტიაც **ნაციონალისტურათ** არის მიმართული.

დღეს, როგორც დაინახავთ, მდგომარეობა იცვლება. დაშნაკცუტიუნსაც თითქოს შეუგნია ინტერნაციონალიზმის უპირატესობა.

საინტერესოა ამ საგანზე მომხსენებლის, ტერ-პოღოსიანის აზრი: ის დაწვრილებით მოუთხრობს ყრილობას იმის შესახებ თუ რამდენ-ნაირი ბრძოლაა ცხოვრებაში—პიროვნული, ეროვნული, კლასიური და სხ. იგი აღნიშნავს ორგანიზაციის მოწყობის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა სიკეთე მოუტანა პარტიას ეროვნულათ მოწყობამ და მიუთითებს აგრეთვე იმაზე, თუ რა კავშირი არსებობდა ეროვნულსა და ინტერნაციონალურ აზროვნებათა თუ მოღვაწეობათა შორის.

მომხსენებელი ამბობს:

„აიღეთ, მაგალითად, ჩვენი პარტიის ვეტერანები,—დაშნაკცუტიუნის დედა ბოძები: ქრისტეფორე, როსტომი, სიმონი და სხვები და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი ყველაზე უკეთესი წარმომადგენელნი არიან არა მარტო სომხის დემოკრატიის არამედ—აღმოსავლეთის მშრომელ ხალხებისაც. მათ არას დროს მიზნათ არ დაუსახავთ მარტო სომეხ დემოკრატიის დაცვა და განთავისუფლება,—არამედ ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ინტერნაციონალურად. სოციალ-პოლიტიკური არა ხელსაყრელი პირობები აიძულებდა მათ, საერთაშორისო იდეების განსახორციელებლათ თავიანთი მოქმედება განესაზღვრათ სომეხი დემოკრატიით მის განუცალკევებლათ. თუ აღმოსავლეთში არის ერთი დემოკრატია, რომელიც განცალკევებული არ იმყოფებოდა, ეს იყო სომეხი დემოკრატია, რომლის მთავარ პარტიას თავისი ტაქტიკის წყალობით გარშემო შემოუკრებია სხვა ერების მუშები—ქურთები, აისორები, იეზიდები და თავდადებით წინ წაუყვანია რევოლიუციური საქმე.

„სომეხი მუშა ხალხი ისე პატარაა რიცხვით და ისეთ არა ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რომ იგი საჭიროებს დახმარებას. მაშასადამე, ჩვენ პირველ საქმედ მიგვაჩნია, რომ იგი ზრუნავდეს თავის თავზე, თავის არსებობის შენარჩუნებაზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სომხის მუშა ხალხი ოსმალეთში, სპარსეთში, რუსეთში და სხვა ადგილებში იბრძოდა და იბრძვის საკაცობრიო ელემენტარულ უფლებებისათვის.

„დაშნაკცუტიუნს ჰქონდა საერთაშორისო მისწრაფებანი და სურვილები. ეს არის სულთანიზმის მოსპობა, ეს არის მოხდენა აღმოსავლეთში მთელი რიგი რევოლიუციებისა, რომლისთვისაც არაფერი დაუზოგავს.

„დღემდე დაშნაკცუტიუნი მოწყობილია ეროვნულათ, მაგრამ ის აწარმოებდა ინტერნაციონალურ პოლიტიკას. და დღეს, როცა იგი გამხდარა სახელმწიფოებრივ პარტიათ, უეჭველად საჭიროა მოეწყოს ინტერნაციონალურათ. ეს გასაგებიც არის. ის პარტია, რომელსაც სურს სახელმწიფოებრივი პარტია იყოს, უნდა იყოს ერთნაირი გამომხატველი ყველა მოქალაქეთა ინტერესებისა. მან უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველა მოქალაქენი და შექმნას მათში ისეთი ფსიქოლოგიური ნდობა, რომ მათში არც ერთმა ანტი რევოლიუციურმა დამღუპველმა ნაპირჯმა არ მოიპოვოს თანაგრძნობა სახელმწიფოებრივი პრინციპების წინაამდეგ. მან ისე უნდა შეაკავშიროს სომხეთის მოქალაქენი, რომ სომხეთის განთავისუფლება გახდეს არა მარტო სომხის მუშა ხალხისა არამედ—საერთოდ სომხეთის ყველა შრომელ ხალხის დევიზათ. სომხეთი სომხის მუშა ხალხისაა იმდენათ, რამდენადაც ის არის სომხეთში მცხოვრებ თათრის, ქურთის, აისორისა და ბერძნის ხალხისა.

„დაშნაკცუტიუნი აწარმოებს საერთაშორისო პოლიტიკას სავსებით ინტერნაციონალურათ, მოაწყობს სომხეთის მუშა ხალხის საერთო ორგანიზაციას კლასიურ ნიადაგზე და იხელმძღვანელებს სოციალიზმის უმაღლესი იდეებით".

გაზეთი „აშხატავორი", საიდანაც ჩვენ ეს მოხსენება ამოვიღეთ, დასძენს, რომ ფორმულა ორგანიზაციის ინტერნაციონალურათ მოწყობის შესახებ ერთხმად იქნა მიღებულიო.

ბევრის მხრით არის საყურადღებო დაშნაკცუტიუნის ყრილობის ასეთი დადგენილება. აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილება ჯერჯერობით გამოაქვს მხოლოდ საქართველოში არსებულ დაშნაკცუტიუნის ყრილობას, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში დაშნაკცუტიუნის პარტიის ტონის მიმცემი მუდამ იყო და ჯერჯერობით კიდევ არის ასეთად დარჩენილი თფილისი.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება კაცს, თითქოს რაც უმოქმედნია დაშნაკცუტიუნს 30 წლის განმავლობაში, სურს ახლა ქარს გაატანოსო, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეს გადაწყვეტილება დარჩება ქაღალდზე, ცხოვრებაში კი იქნება გაბატონებული დაშნაკცუტიუნის ბრძოლის ძველი მეთოდები...

ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლება, მისი გაერთიანება რუსეთის სომხეთთან დიპლომატიის გზით; მთელი თავისი ძალღონით ბრძოლაში დაშნაკცუტიუნი დაეყრდნობა საერთოდ სომეხ გაბატონებულ წრეებს და აქედან მოხდება სომხის ერის დაპირისპირება ოსმალთა და სხვა ერებისათვის. იქნება ნაციონალური მტრობა-შურის გაღვივება და სხ.

ეს იყო დაშნაკცუტიუნის ბუნება მუდამ და ესევე დარჩება. სამწუხაროდ ჩვენ ამის გამოსწორების ნიშნებს ჯერ ვერ ვხედავთ.

რაც შეეხება სულთანიზმის მოსპობისთვის ბრძოლას, აღმოსავლეთის რევოლიციისთვის ხელის შეწყობას და სხ. ეს დარჩება იმ ლამაზ სიტყვებად, რომლებიც დაშნაკცუტიუნის ბაგეთაგან არა ერთხელ გვსმენია, როცა ის მაუზერით ხელში თათარ-სომეხთა „შეკავშირებას" ემსახურებოდა და ევროპის თუ რუსეთის სახელმწიფოთა დიპლომატების კანცელარიებში „საერთაშორისო" საქმეებს აწესრიგებდა...

ჟურნალ გაზეთებიდან

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

„განახლებული მესხეთი" (№ 8) ეხება იმ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„აქ გვინდა შევეხოთ მომხდარ არჩევნებს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. დღემდე ორივე მაზრა ჩვენი მტრებისაგან სადავოთ იყო მიჩნეული. ერთნი ახალციხეს ყარსისკენ ეზიდებოდნენ, ხოლო მეორენი ჯავახეთს ერევანისაკენ.

„ახალციხის მაზრაში 35 ათას ამრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 30 ათას ამრჩეველმა, ხოლო აქედან 24 ათას ხმაზე მეტი ხვდა სოციალ დემოკრატიას. დაშნაკელებმა მიიღეს დაახლოვებით 3000 ხმა, ხოლო ეროვნულმა პარტიამ 2500, დანარჩენმა პარტიებმა უმნიშვნელო ხმები შეაგროვეს.

„ახალქალაქის მაზრაში 25 ათას ამრჩევლიდან ყუთებთან გამოცხადდა 21,687 ამრჩეველი, ამათგან 13 ათასამდე სოციალ-დემოკრატიას მისცა ხმა, ხოლო დაშნაკელებს შვიდ ათასზე ცოტა მეტმა. დანარჩენმა პარტიებმა აქაც უმნიშვნელო ხმები მიიღეს.

„ვინც იცის ახალციხე-ახალქალაქის მდგომარეობა, ვისაც აქვს გათვალისწინებული მისი ახლო წარსული, ვინც ჩაუკვირდება იმ დავას, რომელიც სწარმოებს ამ მაზრების გარშემო, მისთვის ზემოთ მოყვანილი ციფრები ბევრის მთქმელია.

„ახალციხის მაზრას უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე ფოცხოვის რაიონი, რომელმაც 95 პროცენტი თავის ხმებისა დემოკრატიას მისცა და ასე ამიერიდან ის საქართველოს განუყრელ ნაწილათ ითვლება.

„ასეთი იყო ძალთა განწყობილება ახალციხის მაზრაში.

„სულ სხვაა ჯავახეთი. მისი კითხვა თავიდანვე მწვავეთ იდგა საქართველოსათვის. არც ერთი მაზრის არჩევნები არ არის ამისთვის ისე საყურადღებო, როგორც ჯავახეთის არჩევნები, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს უფლება ისტორიულად ამ მის განუყოფელ მიწა-წყალზე.

„ერევნის მთავრობა ქვეყანას არწმუნებდა, რომ ჯავახეთი მისი კუთვნილებაა, მას იქ ჰყავს სომხობის დიდი უმრავლესობა, რომელსაც საქართველოსთან არ ჰსურს ყოფნა და ერევნისკენ მოიწევსო. სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. არჩევნებმა დაამტკიცა, რომ თუ მთელი მცხოვრებლები არა, ჯავახეთის ხალხის ორი მესამედი საქართველოს ღვიძლი შვილებია და მას ვერ დაშორდებიან და თუ ამას მივუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ დაშნაკელების მიერ მიღებული 7000 ხმა არ შეიძლება ჩაითვალოს ერევნის ორიენტაციის ხმებათ, მაშინ, ამიერიდან მაინც ერევნის მთავრობამ თავი უნდა გაანებოს უსაფუძვლო პრეტენზიებს, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ცდა ჯავახეთის შეერთებისა არის მიუტევებელი ავანტიურა, რომელსაც შეუძლია ჯავახეთი ცეცხლში გახვიოს".

პროლეტარიატის დღესასწაული—ფრონტის დღე

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება: მოაწყოს პროლეტარიატის დღესასწაული—ფრონტის დღე.

რაში გამოიხატება პროლეტარიატის დღესასწაული? რა შინაარსი უნდა მიეცეს მას? როგორ შეუძლიან მას დაეხმაროს ფრონტს?

ფრონტის დღეთ საბჭომ დანიშნა 31 აგვისტო. ეს რიცხვი სწორედ კვირა დღეს მოდის. თფილისის პროლეტარიატმაც სწორეთ ის დღე ამოარჩია თავის სადღესასწაულოთ, რომელი დღეც სრულიად მის განკარგულებაშია: ამ დღეს, 31 აგვისტოს—თფილისის პროლეტარიატი ფრონტის დღის აღსანიშნავად ისევ თავის დაზგასთან მიდის და მუშაობს და ეს არის მისი დღესასწაული. ამ კვირა დღეს ყველა შეგნებული მუშა თავის სამუშაოზე უნდა გამოცხადდეს და მით დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია თავისუფლების, რომ მას შეუძლია თავის თავის შოვლა.

ამ დღესასწაულს ორნაირი მხარე ახასიათებს: მორალური და მატერიალური. თფილისის პროლეტარიატმა უნდა აგრძნობინოს ფრონტზე მყოფ თავის ამხანაგებს, რომელნიც ასე თავგამოდებით იცავენ ჩვენს თავისუფლებას, რომ ზურგში მყოფნი მისი ამხანაგები არა დროს და არის შემთხვევაში არ ივიწყებენ ფრონტს, რომ მათი თანაგრძნობა ყოველთვის მათკენაა. თფი-

დ ღ ე ს

ლონდონიდან მიღებული ცნობით, ყოველ ეჭვს გარეშეა. რომ ინგლისმა სპარსეთზე თავისი პროტექტორატი დაამყარა.

რეველში შესდგა ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის მთავრობა გენ. იუდენიჩის მეთაურობით.

საბჭოთა ჯარმა ხერსონი და ნიკოლაევი დასტოვა.

ბალშევიკების ცნობით ჩერკასკის რაიონში მტერი მდ. დნეპრზე გადვიდა და ჩერკასკი დაიკავა.

გენ იუდენიჩმა ნიულანდის გუბერნატორს სთხოვა ფინეთის ტერიტორიაზე გატარება.

ლისის პროლეტარიატმა უნდა აჩვენოს ფრონტზე მყოფ ამხანაგებს, რომ ზურგიდან მათ არავითარი საფრთხე არ მოელის—ეს იქნება უაღრესი მორალური დახმარება და გამაგრება ფრონტისა, მეორეს მხრით—ამ კვირა დღეს ნამუშავარი—სრული ჩვეულებრივი ხელფასი მუშისა—შედის ფრონტზე მყოფ მეომართა დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოთ. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ამ დღეს რაც შეიძლება დიდი თანხა შევადგინოთ და ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მუშა თავის სამუშაოზე იდგება 31 აგვისტოს.

კითხვა იბადება: როგორი უნდა იყოს ამ დღის ხელფასი—ერთმაგი თუ ორმაგი? ორმაგს მხოლოდ მაშინ ვახდევინებთ „ხაზეინებს", როცა ისინი გვთხოვენ ზედმეტ მუშაობას, ამ ჟამად კი საქმე ასე არაა—ზედმეტ მუშაობას ჩვენ თვითონ ვთხოულობთ და აშკარაა, ჩემის აზრით, ამ დღეს ორმაგ ხელფასს ვერც მოვითხოვთ და არც მოვითხოვთ: საბჭოს დადგენილებით ამ დღის ხელფასი ჩვეულებრივი უნდა იყოს. და მართლაც, ჩვენ გვინდა ჩვენს ფრონტზე მყოფ ამხანაგებს თანაგრძნობა გამოვუცხადოთ და მატერიალური დახმარება აღმოვუჩინოთ; ჩვენ გვინდა ცოტა იყოს, მაგრამ რაც იქნება იყოს „სულით და გულით მიძღვნილი".

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ დღეს ყველა შეგნებული მუშა თავის დაზგასთან იქნება. ის, ვინც ამ დღეს, 31 აგვისტოს,—სამუშაოთ არ გავა, ის ჩვენი დემოკრატიის მტერი იქნება.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, რომელიც ორმოცამდე კავშირის წარმომადგენელია, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, ამ დღეს შესაფერისათ ჩაატარებს.

მიხ. თამაზაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ერევანი.

სომხური გაზეთების გადმოცემით, 14 აგვისტოს ქურთების და თათრების ბრბოები, 6 ათას კაცამდე, გარს შემოერტყენ ს. მოლაყამარში მყოფ სომხის ჯარის ნაწილებს. დამატებითი მიღებული ცნობებით ჯარის ნაწილებმა ალყა გაარღვიეს და სამშვიდობოზე გავიდნენ. 16 აგვისტოს 50 ცხენოსანი თათარი მოუახლოვდნენ სომეხთა პოზიციებს, ცდილობდნენ აეღოთ სოკი, რომელიც მდებარეობს ხორ-ფირაპის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სომხის ჯარმა ისინი გარეკა ს. ალიმამედამდე. გოხთან 9 სოფელი 25 ივლისიდან გარშემორტყმულია რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი თათრების ბრბოებით. გარშემორტყმული სომხობა უკანასკნელ დღეებშია.

პრემიერი ა. ი. ხატისოვი ავად გახდა.

ახალი ამბები

✦ **საერთაშორისო ფოსტა.** 18 ამა აგვისტოდან საქართველოს ყოველ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში მიიღება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, რუმინიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმართული უბრალო და დაზღვეული წერილობითი კორესპონდენცია და დროგამოშვებითი გამოცემანი. დროებით ეს კორესპონდენცია ფას გადახდილი იქნება შინაგან კორესპონდენციის ნიხრის მიხედვით. მისამართი უნდა დაწერილ იქნეს ლათინური ასოებით გარკვევით.

✦ **ქალ. საბჭოს სხდომა** დანიშნულია დღეს, 21 აგვისტოს, საღამოს სრულ 8 საათზე. საბჭოს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა შესდგება საღამოს სრულ 6 ს.

✦ **გენერალურ შტაბისაგან.** გაზ. „ვოზროჟდენიე"-ს 19 აგვისტოს ნომერში ბაქოს გაზეთებიდან გადმობეჭდილია ცნობა იმის შესახებ, თითქოს გენერალი ოდიშელიძე თავისი შტაბით, სამხედრო მინისტრის ბრძანებით, ჩასულიყოს ბაქოში. გენერალური შტაბი გადაჭრით აცხადებს, რომ გენერალ ოდიშელიძეს თან არავითარი შტაბი არ ახლავს. გენერალი გაემგზავრა ბაქოში ჩვენს დიპლომატიურ მისიასთან ერთად, როგორც მისი სამხედრო მრჩეველი.

✦ **კინემატოგრაფი სოფლად.** ქართულ ლატარიის გამგეობის თაოსნობით გაემგზავრა საგანგებო კომისია სოფლად და აჩვენებს პირველ ქართულ კინემატოგრაფიულ არშიებს: „დამფუძნებელი კრების გახსნა", „გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში", „დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული" და „ქრისტინე" ე. ნინოშვილის მოთხრობიდან.

✦ **დახურულ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო"-ს** ნაცვლათ დღეიდან გამოვა ახალი გაზეთი „სლოვო".

✦ **ბათუმ-ნატანების რკინის გზის მუშამოსამსახურეთათვის** ჯამაგირების გადიდების შესახებ გზათა დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა.

✦ **ქურდობა.** ერთი კვირის წინათ სადგურზე მდგომ ინგლისელთა ვაგონიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები, მილიციამ შეიპყრო ქურდები პეტრე ვილჩინსკი და ალექსანდრე სოკოლოვი. მათთან ერთათ დაატუსაღეს ვაჭარი სეროპიანცი, რომელსაც შეუსყიდია ნაქურდალი საქონელი.

✦ **მთავრობაში.** საერობო დაწესებულებათა შემოსავლებათ ბორჩალოს, თიანეთის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში გადაიდო 80.000 მან. 10 მილ. ფონდიდან.

✦ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენება, სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების და საჩუქრების მიღების დროს ხაზინის სასარგებლოთ ერთდროულ გადასახადის გაუქმებაზე, მიღებულ იქნა და სათანადო კანონ-პროექტი წარედგინა დამფუძნებელ კრებას.

✦ **„ნაკადული".** რედაქციამ მიიღო უკანასკნელ ნაკადულის აპრილის ნომრები—მცირე წლოვანთათვის №№ 2—3 და მოზრდილთათვის № 2. ჩვეულებრივათ სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა.

✦ **სანაპირო ჯარის შტაბი** გვთხოვს გამოვაცხადოთ: ვინაიდან სანაპირო ჯარის ნაწილები გაფანტულია მთელ საქართველოს ტერიტორიაზე და არ აქვს მატერიალური საშუალება, რომ მათ მიაწოდოს სულიერი საზრდო, ჟურნალ გაზეთები და წიგნაკები, ამისათვის სანაპირო ჯარის შტაბი სთხოვს ყველას, ვისაც ძვირფასად მიაჩნია სანაპირო ჯარის კაცის სამსახური საქართველოს საზღვრებზე, სისტემატიურათ უგზავნოს შტაბს წაკითხული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, რომ შტაბს საშუალება ექნეს დააკმაყოფილოს ჯარის კაცების სულიერი მოთხოვნილება. მისამართი: თბილისი, ბროსეს ქუჩა № 2. სანაპირო ჯარის შტაბი.

✦ **შრომის ბირჟის მუშაობა.** 1 იანვრიდან 1 ივლისამდე შრომის ბირჟაში ჩაწერილა 4199 უმუშევარი (3369 მამაკაცი 836 დედაკაცი) პირველი ადგილი იმათ შორის, ვინც იშოვა სამუშაო, უჭირავს არა ხელოსან მუშებს, მეორე ხელოსან მუშებს, ხოლო უკანასკნელი ადგილი იმათ, ვისი პროფესიაც არის ვაჭრობა. ვინაადან უმუშევართა რიცხვი დიდი იყო და შრომის ბირჟამ ვერ შესძლო მათთვის სამუშაოს აღმოჩენა, ამიტომ მან განიზრახა სხვა გზით მაინც შეემსუბუქებინა უმუშევართა მდგომარეობა. ამ მიზნით მან მოაწყო შრომის ბირჟასთან უფასო სახაიე, რომლითაც სარგებლობს 2600—2700 კაცი უმუშევარი. ამავე მიზნით შრომის ბირჟას განზრახული აქვს სხვადასხვა დარგის სამუშაოს მოწყობა, როგორიც არის მაგ. ფეხსაცმლის სახელოსნოს გახსნა, ბოსტნების მოწყობა, და სხ. ასეთები. პირველ აპრილიდან შრომის ბირჟამ შესძლო უფასო სამკითხველოს გახსნა, რომლითაც სარგებლობს დღეში საშუალო რიცხვით 55 კაცი. ივლისში შრომის ბირჟის მიერ დაარსებული იქნა სახალხო კინო-თეატრირ, ომლის მიზანიც არის უმუშევართათვის სულიერ საზრდოს მიწოდებასთან ერთად, შემოსულ ფულით უფასო სახაიეს შენახვა.

✦ **თფილისის კვანძის რკინის-გზელთა** ცენტრალურ კულტურულ-განმანათლებელ კომისიასთან არსებული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე მიმართავს თხოვნით, როგორც რკინის-გზელთ, აგრეთვე კერძო პირთ, დიდუბის და ნაძალადევის მცხოვრებ სცენის მოყვარეთ ჩაეწერონ წრეში და თავიანთი დახმარებით ხელი წეუწყონ ნაძალადევის და მუშტაიდის თეატრებში ქართული სახალხო წარმოდგენების მართვას. წერილობითი განცხადება წრეში ჩაწერის შესახებ მიიღება მუშტაიდის კლუბში 20-21-22 აგვისტოს. საღამოს 5—6 საათ. წრის გამგეობის მდივანთან—გრ. ბუხნიკაშვილთან.

✦ ჩუღურეთის მცირე კოლექტივთან არსებული ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში მიიღებიან მსურველები და თანამოაზრენი. (19 თერვლის ქ. სახლი 9). შაბათობით 6—8 ს. კრებები ხდება ყოველ შაბათობით, საღამოს 8 ს.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე ს. ს. დ. მ. პ. დანიშნულია მე 6 რაიონის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს სოც. დემ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია საქ. სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეოთხე რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, 21 აგვისტოს, შესდგება ნაძალადევის სამოქალაქო კომიტეტის მიერ მოწვეული ნაძალადევის მოქალაქეთა კრება. კრება გაიხსნება საღამოს 5 ს. ნაძალადევის თეატრში.

— ხუთშაბათს, 21 აგვისტოს, საღამოს 6 შესდგება ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. (კახეთის ქუჩა, № 1).

პროვინციის ქრონიკა.

სიღნაღი. 31 მარიამობისთვეს სიღნაღში საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ არის დანიშნული სიღნაღის, თელავის მაზრების და ახმეტის რაიონის გვარდიელების რწმუნებულთა ყრილობა. განსახილველია სხვადასხვა საკითხები გამოწვეული გვარდიის რეორგანიზაციის მიერ. აგრეთვე მოხდება არჩევნები კახეთის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბისა.

ხოფ პატარძეულში. შაბათს, 23 აგვისტოს გაიმართება დიდი საღამო წარმოდგენით წარმოდგენილი იქნება 1, გამცემი, დრ. 3 მ. 2. დედის ერთა, ვოდ. 1 მ. მონაწილეობს მთელი წრე, დასაწყისი საღ. 8 ს.

ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 1 ენკენისთვიდან.

დუშეთი. კვირას 24 აგვისტოს ქ. დუშეთში დანიშნულია დუშეთის და თიანეთის მაზრის გვარდიელთა წარმომადგენლების ყრილობა. ასარჩევია საოლქო შტაბი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19—20 აგვისტო

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 18 აგვ. **პრაგა.** ამერიკას სურს რკ. გზის შემოსავალი განსაზღვრულ ზომამდე შეამციროს, დანარჩენი კი მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაში გადასდოს. **დასავლეთის ფრონტი.** პსკოვის რაიონში პორხოვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ახალ პოზიციებზე დაიხია. ოსტროვის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და იზბორსკის სამხრეთით სოფელი დაიჭირა. პსკოვის და ვილეიკის მიმართულებით ბრძოლით უკან დავიხიეთ. **რეველი.** აგვ. 17. შესდგა ჩრდილო დასავლეთის რუსეთის ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან: გენ. იუდენიჩი, მინისტრ პრეზიდენტი—ლიანოზოვი და სამხედრო მინისტრი—გენ. სუვოროვი. მთავრობამ განაცხადა, რომ ესტლანდიის დამოუკიდებლობას სცნობს, თუ ის გენ. იუდენიჩს შეიარაღებულ ძალით დაეხმარება. **სამხრეთ-დასავ. ფრონტი.** როვნოს და რაისკოვის მიმართ. ჩვენი ჯარი ორი დღის ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა უკან დაეხია. ჟმერინკას მიმართ. მტერმა კალინკოვკა და ლიპოვეცი დაიჭირა. **დასავლეთის ფრონტი.** ბელგოროდის მიმართ. ქ. ლუბნოს ხელში ჩასაგდებად ბრძოლაა. კურსკ ბელგოროდის მიმართულებით ჩვენ ბრძოლის შემდეგ ობოიანი დავსტოვეთ. კოროჩანის, ნოვო-ოსკოლკის, ბირიუჩის და ევსტრატოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი კოროჩა ნოვოოსკოლკის-ბირუჩის ხაზზე გამოვიდა. ნოვოხოპერის მიმართულებით ჩვენ მაკაროვკა დავიჭირეთ. **აღმოსავლეთის ფრონტი.** ჩელიაბინსკის მიმართულებით მდინარე ტობოლზე ჩვენი წინსვლა გრძელდება. კურგანის რაიონში ჩვენ ერთი სოფელი დავიჭირეთ. **ჰელსინგფორსი,** აგვ. 14. იუდენიჩმა ნიულანდის გუბერნატორს სთხოვა, ფინეთის ტერიტორიაზე გაატაროს. **კიევი,** აგვ. 16. **სამხედრო ცნობა.** როვნოს მიმართ. ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა სად. ოლნევსკაია დაიჭირა. **მოსკოვი,** აგვ. 19. „იზვესტია"-ში მოთავსებულია სვიდერსკის წერილი „შიმშილი მთელ ქვეყნიერებაზე": „ამ ჟამად მარტო საბჭოთა რუსეთი არ არის დამშეული". შიმშილია: გერმანიაში, ავსტრიაში, ოსმალეთში, ბულგარეთში. ამ ქვეყნებში ხომ არ არიან ბალშევიკები, რომელთა სასურსათო პოლიტიკასაც აბრალებენ რუსეთის დამშევას. კოლჩაკის და დენიკინის სამეფოშიაც კი სასურსათო საკითხი გართულებულია. იქ, ეგონათ, რომ მუშების დევნისა, კომუნისტურ რეფორმათა გაუქმებისა და თავისუფალ ვაჭრობის აღდგენის შემდეგ მდგომარეობა სურსათის მხრით უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ მშრომელნი მაინც იტანჯებიან სურსათის სიმცირისა და სიძვირის გამო, მიუხედავათ იმისა, რომ სურსათი მოიპოვება". შემდეგ ავტორს მოყავს იმის წინები, რომ დასავლეთის არა სოციალისტურ ქვეყნებში სასურსათო კრიზისია მოსალოდნელი - სამეფო ინგლისში უწესოება ხდება და დუქნებს არბევენ, ინგლისში სიძვირე იზრდება, რაც ხალხში უკმაყოფილებას იწვევს, იტალიაში შიმშილი განუწყვეტლივ აღელვებს მუშებს. შიმშილს ადგილობრივი მნიშვნელობა არა აქვს. ის გამოწვეული არ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ხალხის საკუთარ თვისებებით. სურსათის და პირველ საჭიროების საგნების გაძვირება ომზე გაცილებით ადრე დაიწყო. სიძვირის გაძლიერებამ 1919 წელს ბელგიას, საფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში მუშების მღელვარება გამოიწვია. შიმშილი ყველა ქვეყნის და ყველა დროის მშრომელთა ხვედრია. მთელ ქვეყნიერებაზე შიმშილის მიზეზი დამპალი კაპიტალიზმია და ომმა მხოლოდ გააძლიერა ეს პროცესი შეძლებულ კლასების უაღრესად გამდიდრებისა და ღარიბთა გაღატაკებისა. აქედან ცხადია, რომ კაპიტალიზმის გაუნადგურებლად შიმშილის ძლევა შეუძლებელია.

მინსკის დაკარგვის შესახებ „იზვესტია"-ში ნემიროვი სწერს: „წითელ არმიას ახალი გამოცდა მოელის. თუ ის 1—2 კვირის განმავლობაში სიმტკიცეს გამოიჩენს და მანევრებს მოახდენს, არამც თუ უკუ აგდებს მოწინააღმდეგეს, არამედ დაამარცხებს კიდეც, რადგან მინსკთან არ იყო გამაგრებული პოზიციები". **კიევი.** აგვ. 17. „ელისავეტგრადის იზვესტიაში" დაწვრილებით არის მოყვანილი გრიგორიევის მოკვლის ამბავი. უკრაინის სამხედრო ცნობა. აგვ. 17. №-ის არმიის ფრონტი. ნოვგოროდ-ვოლინსკის მიმართ. სადგ. გულევიცთან ბრძოლაა. **კიევი.** აგვისტოს 18. აგვისტოს 17. ც. ა. კომიტეტის და ყველა საბჭოთა პარტიების, მუშათა და პროფ. კავშირებთა წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე ბუბნოვმა ილაპარაკა, დაასურათა ფრონტის მდგომარეობა. მოუწოდა არ დაკარგონ მხნეობა და ენერგიულად დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკა. რაკოვსკიმ საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა, აღნიშნა დენიკინის და პეტლიურას საერთო მიზანი. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „უკრაინის მუშებმა და გლეხებმა მთელი თავისი ძალა იქითკენ უნდა მიმართონ, რომ თავდამსხმელებს გაუმკლავდენ. ყველა ფრონტზე, ყველაფერი ფრონტისთვის. ეს ლოზუნგი თანდათანობით უნდა გატარებული იქნეს ცხოვრებაში. ამ ჟამად კიევი ერთი თვალსაჩინო ცენტრია, რომლის გარშემო უნდა მოიყაროს თავი უკრაინის ძალამ. ფრონტის გაერთიანებით, დისციპლინის განმტკიცებით და ყველა საბჭოთა ორგანოების შეიარაღებით ჩვენ შეურყეველ სიმაგრეებს შევქმნით". სამხედრო ცნობა. 19 აგვისტო. ჩრდილოეთის ფრონტი. მეეოზერის რაიონში მურმანის მიმართ, კედროზერსა და რკინის გზის შუა ბრძოლაა. ოლონეცის მიმართ ჩვენი შეტევა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. ფინეთის ყურეში მტრის ფლოტილია კრონშტადტის ნავთსადგურში შემოიჭრა. ჩვენმა მოდარაჯე გემებმა მტრის 3 გემი დაღუპა. ამავე დროს კრონშტადტზე მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდა. პსკოვის რაიონში პოროხოვის მიმართ, ჩვენი ჯარი იბრძვის. ოსტროვის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება, იზბორსკ-პსკოვის გზატკეცილთან ჩვენ სოფელი დავიჭირეთ. ბორისოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბერეზინას აღმოსავლეთის ნაპირისაკენ დაიხია. სამხედრო დასავლეთის ფრონტი. ჟმერინკას მიმართულებით სადგურ კაზატინთან ბრძოლაა. ეკატერინოსლავის მიმარ. მტერმა ხერსონი და ნიკოლაევი დაიჭირა. ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა მდ. ბუგის ხაზზე დაიხია. ჩერკასის რაიონში მტერი დნეპრზე გადავიდა და ჩერკასი დაიჭირა. ბრძოლა გრძელდება. სამხ. ფრონტი. მირგოროდის მიმართ. ლუბნოს რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ხელში ჩავიგდეთ 8 ტყვიისმფრქვეველი, 50,000 ტყვია და სხ. სამხედრო მასალა. სუმის მიმართ. ჩვენ ვოროჟბა დავსტოვეთ. კურსკ-ბელგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი პოზიციებს ამაგრებს. კოროჩაანის და ვალუისკის მიმართ. ჩვენ ბრძოლით კოლოჩა, ნოვი ოსკოლი და ბურუჩი დავიჭირეთ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ბოროსოგლებ-ბალაშოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. რამდენიმე სოფ. დაიჭირა და ხელში ჩაიგდო 8 ზარბაზანი და სხ. დავლა. ჩვენმა ჯარმა კრასნიიარს მიაღწია. კამიშინის მიმართ. მტრის იერიში მოვიგერიეთ და წინ წავიწიეთ. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ილეცკი. ორენბურგის რკინის გზის ჩრდილ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ორენბურგის ჩრდ. აღმოს. ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ტროიცკის რაიონში ჩვენ სად. ტამერლანი დავიჭირეთ. ჩვენ იალუტოროვი

დავიჭირეთ. ტიუმენის რაიონში მდ. ტურის და ტობოლის შესართავს მივუახლოვდით.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბუდაპეშტიდან მოსული ცნობით, ახალი მთავრობა დაიშალა. მიზეზი ის არის, რომ სოც.-დემოკრატები არ შევიდნენ რაც იმით ახსნეს, რომ მათ საკმაო გარანტიები არა აქვთ, რაც იმის შედეგია, რომ მთავრობა სდევნის ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონია საბჭოთა მთავრობასთან. დააპატიმრეს მრავალი. მათ შორის არიან ქალები და ბავშვებიც, რომელნიც აგიტაციაში იღებდნენ მონაწილეობას. ბუდაპეშტში პროკურორმა განაცხადა, რომ დააპატიმრებენ ყველას, ვინც გამოსვლებს აწყობდა საბჭოთა მთავრობის დროს.

დიდ ვეზირსა და ნაზიმ ფაშას შორის მომხდარ უთანხმოების გამო სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე სულეიმან ჩეიაკ-ფაშა დაინიშნა. თანამდებობიდან გადადგა თევფიკ-ფაშაც.

ლონდონის „დეილი ექსპრესი" იუწყებოდა, რომ მეუმრავლესე სოციალისტი ედუარდ ბერნშტეინი ინგლისში ინიშნება გერმანიის ელჩათ. ეს ცნობა აქამდე არ დადასტურებულა და გერმანიას ჯერ არ გადაუწყვეტია მოწინააღმდეგე ქვეყანაში ელჩების დანიშვნის საკითხი.

ამბობენ, ინგლისის მეოხებით მოხდა სენატორების გადაწყვეტილება, რომ შეერთებულ შტატებს და ინგლისს თანაბარი რიცხვის წარმომადგენელი ყავდეს ხალხთა ლიგაში.

ახლო აღმოსავლეთის საქმეების კარგი მცოდნე კროფორდი სწერს: რომ შეუძლებელია ბალკანეთზე ზავის ჩამოგდება და მისი ბუყვავების გზაზე დადგომა ბულგარეთისთვის დათმობით, რადგან უკანასკნელი კროფორდის სიტყვით, ყოველთვის იყო უთანხმოების მიზეზი ბალკანეთში და რაც არ უნდა შეეთავაზებინათ მისთვის, ის მაინც უკმაყოფილო რჩებოდა. ყოველი ახალი დათმობა მას წააქეზებს ბალკანეთში გასაბატონებლად.

ლიონიდან იუწყებიან, რომ რადგანაც კლემანსო ვანდეაში წავიდა, ვილსონი—ვაშინგტონში და ლოიდ ჯორჯი—ლონდონში, ძნელია სპარსეთზე ინგლისის პროტექტორატის დაწესების საკითხში გარკვევა. ამ საგანზე ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს. უკვე 4 დღეა იმის ნიშნები იყო, რომ ინგლისსა და სპარსეთს შორის შეთანხმება მოხდა. როდესაც გამოირკვა, რომ შაჰს სურს შვეიცარია ინახულოს. ინგლის სპარსეთის ხელშეკრულება დაწვრილებით პარასკევს გამოქვეყნდა ლონდონში და სრულიად მოულოდნელი იყო ფრანგებისთვის, რომელნიც ინგლისელთა განმარტების თანახმად აღიარებენ, რომ ეს ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია სპარსეთის დასახმარებლად. აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში სპარსეთის ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ იგივეა ნათქვამი, რაც 1907 წ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისმა სპარსეთზე თავისი პროტექტორატი დაამყარა. ფრანგებს სურთ ვილსონის აზრი გაიგონ ამ საკითხის შესახებ.

უცხოეთი

ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ რუსეთში.

„ანტანტ" 1 აგვისტოს №-ში სწერს: 29 ივლისს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ რუსეთიდან ინგლისის ჯარის ყველა ნაწილები წამოვლენ, ვიდრე ზამთარი დადგებოდეს. მათი წამოსვლა განუწყვეტლივ სწარმოებს. რჩება მცირე ნაწილი ჯარებისა, რომ უყარაულონ საწყობებს. არავითარი საბუთი შეწუხებისა ჩვენი ჯარებისთვის არ არის, ისინი სამხედრო მიზნებისთვის არ არიან გამოყენებულნი, არამედ იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენი წამოსვლა, რომელიც გადასწყდა ჯერ კიდევ მარტში.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო რუსეთის ბლოკადის შესახებ.

„ანტანტ" 2 აგვისტოს თარიღით იტყობინება: „მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ კიდევ დაიწყო კითხვის განხილვა რუსეთსა და სხვა ქვეყნებს შორის კომერციულ ურთიერთობის შესახებ. არავითარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. ამერიკელმა დელეგატმა უაიტმა წამოაყენა მოსაზრებანი რუსეთის ბლოკადის შეწყვეტის შესახებ, ემყარებოდა რა ვილსონის პოზიციას. ამერიკელების აზრით ბლოკადა დაკავშირებულია ომთან. ამიტომ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ანტანტის სახელმწიფონი არ ომობენ, რუსეთთან ბლოკადაც უნდა მოხსნილ იქნეს. საბჭოს დანარჩენი წევრები არ უარყოფენ ამ მთავარი აზრის სისწორეს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მოკავშირე ქვეყნები არც იმყოფებიან რუსეთთან ზავის დამოკიდებულებაში და თუ ამერიკის მთავრობას სურს გადასწყვიტოს კითხვა იურიდიულ საფუძველზე, საერთაშორისო უფლებამ არ იცის ამგვარი პრეცედენტები". „ჟურნალ დე დება" სწერს: „საბჭომ გადასწყვიტა მიაქციოს ვილსონის ყურადღება იმ პრაქტიკულ სიძნელეს, რაც მოჰყვება იმ ზომას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბალშევიკურ ჯარებისა და მოხელეებისათვის და არა ანტიბალშევიკურ მასსებისათვის, სურსათის მიწოდება. ამიტომ საბჭო წინააღმდეგია ხუვერის განზრახვებისა რომელიც არის ამერიკის მომარაგების მისიის უფროსი და რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის მთავრობაც, რომ გაიგზავნოს სურსათი მთელ რუსეთში—როგორც არა ბალშევიკურ, ისე ბალშევიკურში".

სიძვირე შეერთებულ შტატებში.

„რენესანსი" 7 აგვისტოს თარიღით სწერს: სიძვირე შეერთებულ შტატებსაც დაეტყო. 5 აგვისტოს ვაშინგტონიდან გამოგზავნილი დეპეშის თანახმად, სიძვირე ეხლა იქ გახდა ცენტრი საზოგადოებრივი ყურადღებისა. რკინის გზის მოსამსახურენი ჰფიქრობენ მიმართონ ამის შესახებ პირდაპირ ვილსონს. მოსამსახურენი ყველგან იძულებული არიან შეამცირონ თავის მოთხოვნილებანი. ვილსონს 5 აგვისტოს უნდა ელაპარაკნა კონგრესში სიძვირის კითხვის გარჩევის დროს.

მოკავშირენი და კოლჩაკი.

28 ივლისს ინგლისის თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სესილ გარმსვორტმა განაცხადა, რომ ის 320 მილიონი მანეთი ოქროთი, რომელიც ბალშევიკებმა გერმანიას გადასცეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ძალით, ეხლა გერმანელებმა საფრანგეთის ბანკს დაუბრუნეს, რაც მოკავშირეებს ანგარიშში აქვთ მიღებული. ამასთანავე გარმსვორტმა სთქვა: სწორე არ იქნება ვსთქვათ, თითქოს კოლჩაკის მთავრობა ფორმალურად ცნობილი იყვეს მოკავშირეების მიერ. აგრეთვე სწორე არაა ცნობები იმის შესახებ, თითქოს ამ ოქროს ნაწილი უნდა გადაეცეს კოლჩაკსა და დენიკინს, რომ მათ მიეცეს შესაძლებლობა იყიდონ სამხედრო მოწყობილობანი". („ტან." 30 ივლ.)

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის

ქვემოდ მოყვანილი დეპეშები გაგზავნილია აგრეთვე „სახ. საქმის" რედაქციაში და ცენტრალურ გამგეობაში.

ფოთი. 15 აგვისტო. ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორის მოსამსახურეთა საერთო კრებამ 14 აგვისტოს მოისმინა რა მოხსენება „სახალხო საქმის" მე 599 ნომერში მოყვანილ ცნობების შესახებ, თითქოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა უმრავლესობა ფედერალისტები იყვნენ და ვითომ ამიტომ ადმინისტრაცია, რომელიც მენშევიკებისაგან შესდგება სდევნიდეს კავშირს მისი არა სასურველ პარტიულ შემადგენლობის გამო, კრება საქვეყნოთ აცხადებს, რომ უწყებაში მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა მენშევიკებია. კერძოთ ფოთში 78 მოსამსახურეში 47 მენშევიკია, 7 უპარტიო, დანარჩენი სხვადასხვა პარტიის მიმდევარნი. თუ მიუხედავათ ამისა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში ფედერალისტები მოხდნენ, ეს ნაყოფია მენშევიკების ნეიტრალობისა კავშირში და ფედერალისტების ნიღაბ აფარებულ პარტიულ მუშაობისა. კრება გულისწყრომით აღნიშნავს „სახალხოში" მოყვანილ ცნობის არა სინამდვილეს, რომელიც შეთხზულია იმ მიზნით, რომ გაზეთმა პარტიული კაპიტალი გაზარდოს კავშირში და ამ რიგათ დაარღვიოს კავშირის ნეიტრალობა. რაც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ადმინისტრაციას, კრება აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია, დგას რა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, ყოველივე საშუალებით ცდილობს უწყებაში შრომის განაყოფიერებას და წესრიგის დამყარებას, რასაც კრება მხურვალედ თანაუგრძნობს და მომავალშიაც ყოველივე ღონისძიებას იხმარს, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში დაეხმაროს მას.

საერთო კრების თავმჯდომარე ციცქარავა. მდივანი კავჟარაძე.

სამტრედია. სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო კრებამ 15 აგვის. განიხილა რა გაზ. „სახალხოს" 599 ნომერში მოწინავე წერილი, დაადგინა: გამოუცხადოს „სახალხოს" პროტესტი, რადგანაც მისი მტკიცება, რომ დიდი უმრავლესობა ფოსტის მოსამსახურეებისა ფედერალისტებია, სიმართლეს მოკლებულია. თუ „სახალხო" გულისხმობს შემადგენლობას მეორე ყრილობის მიხედვით, მას უნდა სცოდნოდა, რომ ის იყო შემთხვევითი, ვინაიდან დიდი უმრავლესობა ყრილობის დელეგატებისა იყვნენ ისინიც, ვინც დღეს „უჯარო გენერლებს" წარმოადგენენ, არჩეულნი არა პარტიული სიებით. და თუ პარტიულობაზეა საქმე, უმრავლესობა ფოსტის მოხელეებისა სოციალ-დემოკრატები და მათი თანამოაზრენი არიან.

თავმჯდ. კუგუჩია, მდივანი კომახიძე.

რკინის გზაზე

საჭიროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს რკინის გზის აგენტებს, რათა ისინი აძლევდნენ სათანადო კვიტანციას, როცა უბილეთო მგზავრებს ახდევინებენ ორმაგ გადასახადს. საქმე იმაშია, რომ ახდევინებენ ფულს და არ აძლევენ არავითარ საბუთს ფულის მიღებისას და შემდეგ სადგურზე ადგენენ უწყებას, თუ რამდენ მგზავრს გადაახდევინეს ორმაგი გადასახადი. ამნაირათ, მათი მოქმედება ამ დარგში ხდება უკანტროლოდ და შესაძლებელია ბოროტ-მოქმედება. მაგალითად ამ პირობებში შეუძლიან დაინტერესებულ პირს, უწყებაში შეიტანოს არა იმდენი, რამდენსაც გადაახდევინებენ, არამედ ნაკლები, რაც ხელს შეუწყობს რკინის გზის მოხელეებში ბოროტ მოქმედების განვითარებას. იმედია მიექცევა ამ მოვლენას სათანადო ყურადღება.

ა. ქიაბრიშვილი.

მუშათა შორის

ფოთი. აქაური ხე-ტყის ქარხნები შეჩერებულია უხეობის გამო. მუშაობს მხოლოდ ბოლქვაძის ქარხანა. მუშები დანარჩენი ოთხი ქარხნებისა უმუშევრობის გამო უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. არც მოეპოვება ქალაქის თვითმართველობას რაიმე სამუშევარი, რომ მეშებმა შეაფარონ თავი დროებით მაინც. ამას წინეთ იყო აქ შრომის მინისტრი, რომელმაც ინახულა ხსენებული ქარხნები და იქონია მოლაპარაკება მწარმოებლებთან, მაგრამ შედეგი მოლაპარაკებისა ჯერ ჩვენთვის გაუგებარია და არ ვიცით არის თუ არა საჭირო საქართველოს რესპუბლიკისათვის ხსენებული ქარხნების ამუშავება. მუშებმა 10 აგვისტოს კრების დადგენილების თანახმად მივმართეთ თხოვნით შრომის სამინისტროს და ასლი სამიწათმოქმედო სამინისტროს გაუგზავნეთ, რის პასუხი ჯერ არ მიგვიღია. დამზადებული მასალა ხე ტყისა ქარხნებში არ მოიპოვება, გარდა კლიოპკისა, რომელიც ადგილობრივათ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს და ამ მასალის სიმცირის გამო ისედაც საზღაპრო ფასებს უმატებენ მწარმოებლები, რაც საზოგადოებაში იწვევს უკმაყოფილება და ბადებს ათასგვარ ჭორებს. საჭირო კი არის, რომ იქნას ზომები მიღებული შესაფერ პირობებში ტყის დასამუშავებლათ, საიდანაც რამოდენიმე მუშები დაახწევს თავს ამ კრიტიკულ პირობებს. ტყის გახსნა დღეს, უსათუოდ საჭიროა, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას. თუ ჩვენ მუშებს გვეუბნებოდენ, გაფიცვის დროს ნუ გაიფიცებით, წარმოების შეჩერება არ შეიძლება დღევანდელ პირობებშიო, ეხლა აგერ თვეობით არის? შეჩერებული ქარხნები, რატომ არ იქნა ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს. მაგრამ საწყალი კაცი იმედით ცხოვრობს და ჩვენც მათ რიცხვში იმედს არ ვკარგავთ და მოველით ქარხნების ამუშავებას, მაგრამ თუ მოლოდინი არ გამართლდა და კიდევ გასტანა რამოდენიმე დღე უმუშევრობამ, იმ შემთხვევაში მოელის ისედაც სუსტს კავშირს ლიკვიდაცია, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მომხრე ვიქნებოდით ქარხნების გაჩერებისა მაშინ, როცა ცოტათ თუ ბევრათ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა, როცა შესაძლებელი იქნებოდა ტეხნიკის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი, მაგრამ სანამ საერთო გაჭირვება არის და ტეხნიკაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამისათვის ვიტანთ ყოველივე გაჭირვებას და ვმუშავობთ ყურმოჭრილ მონებსავით. თუ ავდარი არის (რაც წელს ძლიერ ხშირია) გვიხდება მუშაობა მუხლამდე წყალში. მოშხამული ატმოსფერის გამო მუშებს ფერი დაკარგული აქვთ, ხერხზე, ქლიბზე და სხვა რაიმე საჭირო მასალაზე ლაპარაკიც მეტია. რაც მეტის მეტ ტვირთათ აწევს „სტანოკზე" მომუშავეს. აქედან მკითხველი მიხვდება, თუ რა პირობებში სწარმოებს მუშაობა ხსენებულ ქარხნებში, მუშები მზათ ვართ ავიტანოთ ყოველივე გაჭირვება და ხელი შეუწყოთ მთავრობის მოქმედების განტმკიცებაში.

ს. ხავთასი.

თფილისი. რკინის გზის მთავარი სახელოსნოს სამჭედლო ცეხში მუშაობს დაახლოვებით ორას სამოცი მუშა ხელოსანი. კულტურული წარმატება ჩვენს მუშებს არ აინტერესებთ. ნაკლებათ ეტანებიან ჟურნალ-გაზეთებს ამის მიზეზად ბევრ-[illegible] ხელებენ და უმთავრესად [illegible] მდგომარეობაა შექმნილი, რომ მუშების თითქმის უმრავლესობა ფულის შეძენაზე, გამდიდრებაზე ოცნებობს. ეს კი საერთოდ მიუღებელია მუშათა კლასისთვის. მუშათა კლასის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს ერთის ან რამდენიმე კაცის გამდიდრება გინდ უზრუნველყოფა. საჭიროა კლასიური ბრძოლა, მთელი მუშათა კლასისთვის ზრუნვა. ამ მიზანს ემსახურება პროფესიონალური კავშირები. კულტურული მუშაობა—აი ამ მხარეს უნდა მიექცეს ჩვენი მუშების მთავარი ყურადღება.

ს. ს.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 14 აგვისტოს შესდგა მეორე რაიონ. კოლექტ. წევრთა ჩვეულებრივი კრება. კოლექტ. ფინანსიური მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობს კოლექტივს თავმჯდომარე ამხ. ალ. ნაცვალოვი. ის აღნიშნავს კოლექტივის კასის მეტათ უნუგეშო მდგომარეობას. მისი სიტყვით საწევრო გადასახადი წესიერად ველარ შემოდის, რის გამო კოლექტივს მიმდინარე ხარჯები ველარ დაუფარავს. მას საჭიროთ მიაჩნია, კოლექტივის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ, მოეწყოს წარმოდგენა ან საღამო. ამხ. ს. თევზაძეს შემოაქვს წინადადება გარდა იმისა, რომ კოლექტივი თითონ მოაწყობს წარმოდგენას ან საღამოს, დაევალოს აგრეთვე მცირე კოლექტივებს გამართონ რაიონის სასარგებლოთ წარმოდგენები. კრება ღებულობს ამ წინადადებას და ავალებს ამ საკითხის მოგვარებას ამხ. ქიტიაშვილს, ფერაძეს და ლეჟავას.

კოლექტივის წევრების მომავალ არჩევნების შესახებ კრება მცირე კამათის შემდეგ ადგენს: 1) არჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს კანდიდატთა სიას და წარმოუდგენს განსახილველად მომავალ კოლექტივის კრებას; 2) ამავე სიაში იქნას დასახელებული თფილისის კომიტეტში ასარჩევი წევრები; 3) კოლექტივის წევრებათ ასარჩევ კანდიდატთა სიაში აუცილებლათ იქნას დასახელებული ამხანაგები სხვადასხვა დარგებიდან და დაწესებულებებიდან; 4) მეორე რაიონის პარტიული წევრთა საზოგადო კრების მოწვევის დღეთ დაინიშნოს პარასკევი, 21 აგვისტო, საღამოს ხუთი საათი, თუ ვინიცობაა კრება არ შესდგა, მაშინ დაინიშნოს მეორე კრება რამდენიმე დღის შემდეგ და კანონიერად იქნას აღიარებული რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას. ზემოხსენებულ კომისიაში აირჩიეს ხუთი ამხანაგი: ლ. ასათიანი, ნ. ლეჟავა, ა. ლომიძე, პლ. გაჩეჩილაძე და ქ. კოპალეიშვილი.

X.

კახეთის რკინის გზის სამმართელო. 17 აგვისტოს შესდგა ს. დ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება, რომლის მიზანი იყო ს. დ. წრის დაარსება სამმართველოში.

კრებამ იმსჯელა ამის შესახებ,—დაარსდეს დამოუკიდებელი წრე, თუ ეს წრე შეუერთდეს ნავთლუღის ს. დ. კოლექტივს. გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობის უკეთესად წარმოებისთვის ასეთი გაერთიანება სასურველია; ნავთლუღის კოლექტივის წევრთა უმრავლესობა ცხოვრობს თფილისში და ამიტომ პარტიული კრებების და მეცადინეობის მოწყობა უფრო მოსახერხებელია მაგრამ ვინაიდან ამ კითხვის საბოლოოდ გადაჭრა წრის უფლებას აღემატება, ამიტომ წრე ადგენს: ეცნობოს ამის შესახებ ნავთლუღის კოლექტივს და ეთხოვოს მას, რომ კვირას, 24 აგვისტოს, დილის ათ საათზე მოიწვიოს სამმართველოში თავის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც წრესთან ერთად უნდა გადაწყვიტოს ზემო აღნიშნული კითხვა.

ამავე კრებაზე უნდა გაკეთდეს მოხსენება მომენტის შესახებ.

ზოგიერთ კითხვების განხილვის შემდეგ წრემ აირჩია დროებით ხელმძღვანელი ორგანო სამი კაცისაგან.

ვ. ბ—ძე.

პროვინცია

ხევსურეთში მიუხედავად იმისა, რომ ფრიად პატარაა საქართველო, მაინცა რის იმისთანა კუთხეები, რომელნიც ჩვენთვის სრულ terra incognita-ს წარმოადგენენ. ერთს ასეთს კუთხეთ ხევსურეთი უნდა ჩაითვალოს. დიდი უმრავლესობა ხევსურებს იცნობს მხოლოდ რაფიელ ერისთავის ლექსში მოყვანილ ხევსურით, რომელიც ირწმუნება ცა და ქვეყნის წინაშე, რომ „არ გასცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა". ის კი აღარ იციან, რომ მკაცრმა

ბუნებამ ხევსურს კარგა ხანია მოაბეზრა თავი და მზათაა დიდის სიამოვნებით დასტოვოს თვისი მიწა-წყალი, ოღონდ სადმე მთიანი ადგილი გამოუჩნდეს.

„ერთობის" ფურცლებზე, სადაც ყოველი სტრიქონი დაზოგვით უნდა იწერებოდეს, რათა დაიტიოს ყოველგვარი მასალა ჩვენი რთული ცხოვრებისა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ვრცელი წერილების მოთავსება ხევსურეთზე, რამდენადაც არ უნდა იყოს იგი ნიაზიანი და ყურადსაღები. თუმცა ჩვენს გაზეთში თითქმის არასოდეს არა დაწერილა რა ხევსურებზე, აღნიშნულ მოსაზრების გამო იძულებული ვარ მოკლეთ აღვნიშნო ის, რაც ვნახე და გავიგონე ხევსურეთში ყოფნის დროს.

ცნობილია, რომ თვით მეცნიერების მიერ ყველაზე ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოს შესწავლას; და თუ ვინმე მაინც ოდნავ მოიცდიდა—უმთავრესად სვანეთ-სამეგრელოსა და სხვა კუთხეების შესწავლას შეუდგებოდა ხოლმე თუშ-ფშავ-ხევსურეთი მივიწყებული რჩებოდა. საქართველოს ისეთი მცოდნეც კი, როგორიცაა ვახუშტი ბატონიშვილი,—ისიც ძალიან მცირე ცნობას იძლევა ხევსურეთზე. აქვს გამოკვლევა ხევსურეთზე ცნობილ მკვლევარს მაქსიმე კოვალევსკის, მაგრამ იგი არაა ხელმიწვდენითი. მარტო ჩვენს მგოსანსა და ეთნოგრაფს რაფიელ ერისთავს უნდა უმადლოდეთ, რომ მან თვისი მშვენიერი შრომით (იხ. Записки Кавказскаго Отдѣла Имп. Рус. Географическаго общества о Тушино-пшавъ-хевсурскомъ округѣ, წიგნი 3) მისცა დასაბამი ხევსურეთის შესწავლას.

ხევსურთა რაოდენობა, სამწუხაროდ, გამოკვლეული არაა. კავკასიის მუზეის ყოფილ დირექტორის გუსტავ რადეს მოწმობით, რომელმაც ოთხმოციან წლებში შემოიარა ხევსურეთი—ხევსურთა რიცხვი უნდა უდრიდეს 5,846 სულს. ეს ცნობა ყოვლად შეუწყნარებელია. დღეს დაახლოვებით ხევსური სამი ამდენი იქნება, თუ მეტი არა. მარტო ამომრჩეველი 6—7 ათასი უნდა იყოს.

ხევსურები უფრო მრავალი იქნებოდენ, რომ მათში არ იყოს წესი თავიანთი მოდგმის ხელოვნურად შემცირებისა. ეს იმით აიხსნება, რომ იგინი მოსახლეობენ ვიწრო, მწირ და მკაცრ მთა კლდეებზე, რომელთა ადგილებსაც არ შეუძლიანთ გამრავლებულ ხევსურთა დატევა, დაპურება და ხევსურნიც იძულებული არიან ხელი აიღონ შთამომავლობის უხვად გამრავლებაზე.

როგორც კი შევა კაცი ბარის სოფლებში, მაშინვე შემოესმება ჟრიამული ოღლო-ჭოჭო ბავშვებისა—ხევსურეთში კი სიყურსე და მოწყენილობა გხვდებათ. აქ იშვიათია ბავშვები —ეს ერთად ერთი ელემენტი სიცოცხლის გამხალისებელი ბეჯაათია, რომ რომელიმე ხევსურს, ისიც შეძლებულს სამი შვილი ჰყავდეს. კმაყოფილდება თითო-ოროლით.

მოდგმის შემცირება შიშით ადრევ სვანეთშიაც ყოფილა, საცა ახლად დაბადებული ქალები ხშირად უხოცნიათ, იმის შიშით, რომ ფრიად არ დამრავლებულიყვნენ მცირე ადგილებზე მოსახლენი.

უყურებ ამ ძალ-ღონით აღსავსე, ქედ-მაღალ ხალხსა, ადარებ ჩვენს დაჩიავებულ გამოფიტულ მოდგმას, რომელიც დაავადმყოფებულ შთამომავლობის გამრავლებით უარესად მიაქანებს ხალხს გადაშენების დაღმართზე და ჰნანობ, რომ ხევსურებს საშუალება არა აქვთ ამრავლონ ჯან-საღი და დასვენებული შთამომავლობა.

მათ რომ გზა გაეხსნათ და ჩვენი ქვეყნის სხვა მთები მიეცეს საბინადროდ, აგრეთვე რომ გამოიყვანონ განათლების შარაზე, და რწმუნებული ვარ, ისე ამოჰხეთქავს შემოქმედებითი ძალა მათში, როგორც ის ჯეჯილი, რომელიც ამოღაღანებს ხოლმე თვალის წარმტაცად ახლად გატეხილ უხნავ ნოყიერ ახოებში და ხოდაბუნებში.

ბარში გაძლება ხევსურებს არ შეუძლიანთ, სიცხეს ვერ აიტანენ, დაიღუპებიან. ხევსურის ქმარი მთა და სიცივეაო—და ვერ გასძლებს უიმისოთ ვერც ერთს დღესო—მითხრა ერთმა ხევსურმა.

ბუნება, სიტყვის გამოთქმა, ზნე-ჩვეულება ხევსურებისა ისევე ველურია, როგორც ის სალი-კლდეები და მთები, საცა სცხოვრობენ ისინი.

ამ სიველურის ერთი დამახასიათებელთაგანია მშობიარობა. ფეხ-მძიმე დედაკაცი აქ უწმინდურად ითვლება და როგორც ასეთს ახლოს არ იკარებენ. სოფლის გარეთ უკეთებენ თავ-საფარს და რა დროც უნდა იყოს, თუნდა ყიამითი ზამთარი—იქ უნდა მოიმშობიაროს სხვის დაუხმარებლად. მიუხედავად ასეთის უმწეობისა, არც მშობიარე და არც ბავშვი არ სნეულდება. არა გვანან განა ჩვენს აზიზ-მაზიზ ქალებს, რომლებსაც საგანგებოდ განწაფულ ბებიებს დაახვევენ ხოლმე თავს და მაინც ხშირად უბედურობით თავდება მშობიარობა.

უფრო ველური ადათი დარჩენილია სისხლის აღების სახით. არავითარი სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც უნდა სამართლიანი იყოს იგი, ხევსურს არ დააკმაყოფილებს, თუ სისხლი არ აიღო და შური არ იძია. მე ვნახე ერთი ხევსური, რომლისთვისაც როდესღაც ქისტებს მოკეთე მოეკლათ და მანამ არ მოუსვენია, სანამ სამაგიერო არ გადაუხდია, გადაპარულა პირიქით, დასცემია ქისტების მოლას, მოუკვეთნია თავი და ხელი და წამოუღია. დღესაც გულ მოდგინედ აქვს შენახული ეს „ტროფეა" იმ იმედით, რომ ქისტები დიდ თანხას გამოიღებენ მოლის თავის გამოსყიდვაში.

კეჰნაობა და საცერულით ჩხუბი ხომ ხევსურეთის სპორტია და ძნელად შეჰხვდებით კაცს, რომელსაც ან დაშნის, ანა და საცერულის ღრმა კვალი არა ჰქონდეს დამჩნეული. რაღა გასაკვირველია, რომ ხევსურებს სახელებიც ისეთი ველური ჰქონდეთ, როგორც თვით მათი ბუნებაა: ვეფხია, დათვია, მგელა, ლემა, მგელიკა, ვაჟია და სხვა.

დ. თურდოსპირელი.

დ. სუფსა. 27 ივლისს შესდგა კრება სუფსის მომხმარებელ საზოგადოების „იმედი"-ს წევრთა ნახევარი წლიური ანგარიშის განსახილველათ. სხვათა შორის, დღიურ წესრიგში იყო შეტანილი მოთავსებული წერილი „ერთობის" № 160 ში, რომელიც შეეხებოდა ზემოხსენებული საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრს ბ. ა. დ—ძეს. ეს წერილი იქნა წაკითხული კრებაზე და გარჩეული, კრებამ სცნო რა ეს წერილი უსამართლოთ, მოითხოვს ბ. „ახალი" საგან მობრძანდეს საზოგადოების წინაშე დასამტკიცებლათ ყველა იმ ბრალდებებისა, რომელნიც მოთავსებულია წერილში ბ. ა. დო—ძის შესახებ. ამით გამოწვეულ ხარჯებს საზოგადოება კისრულობს.

კრების მონდობილებით, სუფსის მომხმარებელ საზოგადოების „იმედი"-ს **გამგეობა.**

წერ. რედაქციის მიმართ

არ შევუდგები იმის აღწერას, თუ რა სულიერი ტანჯვა გამომივლია უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, მაგრამ რადგან ამას საფუძვლათ იდეური ბრძოლა ჰქონდა დადებული და თანდათან ამ 15 წლის განმავლობაში ვამჩნევდი, რომ ჩემი და ჩემი ამხანაგების ბრძოლა თანდათანობით მიზანს აღწევდა, მეც ამ იმედით დღემდე მოვაღწიე, და დღეს ჩემს კერას დავუბრუნდი. მაგრამ მოსვენების ნაცვლად აქ უბედურება მელოდა თურმე. აი საქმე რაშია: როდესაც ჩემი დანგრეული ოჯახის შენებას შევუდექი, ფულები დამჭირდა და ეს ფული კი ისევ ამ ნანგრევებიდგან უნდა მეშოვნა. საჭირო იყო ერთი ნაჭერი მიწა გამეყიდა, მყიდველი ვიშოვნე, მაგრამ მან საბუთები მოითხოვა, ეს საბუთები კი ქუთაისის ოლქის სასამართლოში იყო. ვთხოვე ოლქის სასამართლოს საბუთების დაბრუნება, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ მათ დაბრუნებაზე უარი მითხრა, მიზეზათ ის მოიყვანა, რომ შენ უფლება ახდილი გაქვს და სანამ კანონიერათ უფლებას არ მიიღებ, ვერც საბუთებს მიიღებ და ვერც შენს მამულს გაყიდიო. მე ამ წინადადებამ განცვიფრებაში მომიყვანა. ბატონ თავმჯდომარეს ბევრი მკვახე სიტყვები მოვახსენე, კარგათ მახსოვს ისიც უთხარი, რომ თუ კიდევ ჩემი უფლებების აღდგენა თქვენზეა დამოკიდებული, იმისთანა უფლება მე აღარ მინდა მეთქი. მე ეხლა აღარც მამულს ვყიდი და აღარც ჩემს ოჯახს ვაშენებ, ისევ სჯობია ის ღვთის ანაბარათ დავტოვო, მთლად დაიკარგოს და დაიღუპოს, ვინემ მე კიდევ სასამართლოს საშუალებით უფლების აღდგენას შევუდგებოდე. ის უფლების აღდგენა მე აღარ მომესწრება, მე ეხლა 56 წლის კაცი ვარ, ოთხ ხუთ წელიწადს ამ უფლების აღდგენას ვეღარ მოვაწყობ, მერმე მყიდველი შეიძლება დარჩეს, მაგრამ მე ცოცხალი ვიქნები? ჩემი სიკვდილი საზოგადოებას კი არაფრათ დააკლდება, მაგრამ ჩემისთანა უფლება ახდილი ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ათასობით არიან და ყველას ის მოელის, რაც მე მომივიდა, ამისათვის ჩემის აზრით, საჭიროა ვისაც ჯერ არს, ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს და ოლქის სასამართლოებს ბრძანება დაუგზავნოს, რომ ყველა პოლიტიკური დამნაშავენი, რომელნიც უფლება ახდილი იყვნენ, ახლა სრულ უფლებიანი მოქალაქენი არიან. ეხლა მე ჩემს თავს ვეკითხები. ვაი თუ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ სხვებს, ჩემს ამხანაგებსაც, უფლების აღდგენა მოსთხოვა, რომელთაგან ბევრი მათგანი რესპუბლიკის მმართველნი არიან და საპატიო ადგილები უჭირავთ?!

ალფეზ მიქელაიშვილი.

რედაქციისაგან: ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ინციდენტი, რომელიც ალფეზ მიქელაიშვილს შემთხვევია, გაუგებრობაზე უნდა იყოს აგებული, რადგან უფლების აყრას ძალა აქვს სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის. ყოველ შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია არსებული კანონების ფარგლებში შესაფერი ცირკულიარი დაუგზავნოს სასამართლოებს და დაწესებულებებს, ხოლო თუ თვით კანონში აღმოჩნდება რაიმე ნაკლი, მისი თავიდან ასაცილებლათ მიმართოს დამფუძნებელ კრებას. თვითონ მიქელაიშვილს შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს პროკუროს, რომელიც შესაფერ განმარტებას მისცემს მას და შელახულ უფლებებს, თუ იგი მართლა შელახულია, აღადგენს.

განცხადებანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს
საექიმო-სასანიტარო განყოფილება (ქსენიევის ქუჩა, № 10) იწვევს საბეჭდავ მანქანაზე ქართულის მცოდნე

გამოცდილ მომუშავეს

925 მან. ჯამაგირი თვეში. (1—1)

საჩქაროდ საჭიროა

ბუღალტერი

სოფლად (კახეთში).
თვიური ჯამაგირი 3000 მანეთი.
მსურველთ მიმართონ კახელ მევენახეთა „კავშირთ-კავშირს", რუსთაველის ქ. № 33.

ამა წლის 12 აგვისტოს

დავკარგე

წლიური პასპორტი მოცემული ს. ეწსის საზოგადოების კომისარისაგან, დაფინო ივანეს ასული ზამთარაძის სახელზე, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულად.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

კერძო სამკურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე, (24—17)

ექიმი გ. მ. მუხაძე
თფილისიდამ გაემგზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5—2)

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ცნობილმა ძმ. ჩარექოვების

კირის ქარხანამ

ქ. ქუთაისში დაიწყო წარმოება [illegible] კვეთა ვაგონებით და [illegible]
საკირს ტელეფონი № 172.
ქალაქის კანტ. ტელეფ. № 74.
(5—2) პატივისც. ძრ. ჩარექოვი.

ბორჯომში
პროფ. დოქტ. მედიცინისა **ვ. პ. მოხეშვილი** იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები" (Минеральныя воды).

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **ა. დ. ძიძილია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მ ა ლ ა რ ი ი თ (ციებ-და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ს. მიზრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ **ძ. თ. ტყეშელაშვილის**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესო ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **ჩ. მ. ზიზლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ლებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

18 აგვისტოდან დაკლებულ ფასებში ჰყიდის თფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მოწეულ ბოსტნეულობას: პამიდორს, კომბოსტოს, ჭარხალს და სხვადასხვა მწვანილს. ყიდვა შეიძლება საზოგადოების შენობაში ბარიატინსკის ქ. № 5, დილის 7 ნახ. საათ. დღის 2 ნახევარ საათამდე. (2—1)

თფ. საშუალო პოლიტეხნიკური სასწავლებელი

იღებს თხოვნებს ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო განყოფილებებზე: პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინისგზო, მექანიური და ელექტრო-ტეხნიკური; მეორეზე—გზათა საამშენებლო, სახუროთმოძღვრო და ჰიდრო ტეხნიკური. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა. მისამართი: თფ. დიდიმთავრის ქუჩა, № 70.

თ ე ლ ა ვ ი ს ს ა მ ა ზ რ ო ე რ ო ბ ა

იწვევს ექიმებს ერობის რაიონულ საავადმყოფოების გამგის თანამდებობაზე. ექიმებისთვის სავალდებულოა ცოდნა ქართული ენისა. თვეში ჯამაგირი 3000 მანეთი.
თხოვნები და curriculum vitae უნდა იყოს წარდგენილი ერობის გამგეობის სახლობაზედ. (2—2)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"

იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.
მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—6)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.